საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტი

Contract: GE 16 ENI ST 06 18

საქართველოს სტატისტიკური სისტემის შესაძლებლობების გაძლიერება

კომპონენტი 2: "ეროვნული ანგარიშების მეთოდოლოგიური საფუძვლების გაძლიერება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად"

ქვეკომპონენტი 2.1: "ეროვნული ანგარიშებისა და ახალი პროდუქტების შედგენის მეთოდები"

მისიის ანგარიში

აქტივობა 2.1.I (RS) "სპორტის სატელიტური ანგარიშების შედგენის მიმართულებით საქსტატის შესაძლებლობებისა და არსებული სირთულეების შეფასება"

ანგარიში მოამზადა:

მუდმივმა უცხოელმა მრჩეველმა, ბ-ნმა სთინ ბილეფელთ ფიდერსენმა

ანგარიშის ვიზირება უზრუნველყვეს სპორტის სატელიტური ანგარიშების ექსპერტებმა:

ბ-ნი ანდრიეს ქაიფერსი, ნიდერლანდების სტატისტიკის სამსახური

ბ-ნი ლუკ შხრეივენი, ნიდერლანდების სტატისტიკის სამსახური

ბ-ნი ლუკაშ ზადოროჟნი, პოლონეთის სტატისტიკის სამსახური

ქ-ნი ევა მალინოვსკა, პოლონეთის სტატისტიკის სამსახური

ვერსია: საბოლოო

ექსპერტების საკონტაქტო ინფორმაცია

გ-ნი ანდრიეს ქაიფერსი
ნიდერლანდების სტატისტიკის სამსახური
ჰააგა, ჰოლანდია
ტელ.: +31 (0)70 337 4341
ელ. ფოსტა: ad.kuipers@cbs.nl

გ-ნი ლუკ შხრეივენი
ნიდერლანდების სტატისტიკის სამსახური
ჰააგა, ჰოლანდია
ტელ.: +31 (0)70 337 4235
ელ. ფოსტა: ljg.schreven@cbs.nl

გ-ნი ლუკაშ ზადოროჟნი
პოლონეთის სტატისტიკის სამსახური
რზეზოვის სტატისტიკის სამსახური, პოლონეთი
ტელ.: +48 17 853 52 10
ელ. ფოსტა: L.Zadorozny@stat.gov.pl

ქ-ნი ევა მალინოვსკა
პოლონეთის სტატისტიკის სამსახური
რზეზოვის სტატისტიკის სამსახური, პოლონეთი
ტელ.:
ელ. ფოსტა: E.Malinowska@stat.gov.pl

სარჩევი

1. ზოგადი შენიშვნები 4
2. დასკვნები და შეფასებები 4
ჩარჩო და შინაარსი 5
სპორტის წილის შეფასება 5
მონაცემებისა და მეტამონაცემების გამოქვეყნება 7
საჭირო წყაროები 7
დანართი 1. ტექნიკური დავალება 9
დანართი 2. ტექნიკური დავალება/სამუშაო გეგმა 11

1. ზოგადი შენიშვნები

თანდათან იზრდება სპორტთან დაკავშირებულ საქმიანობათა გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე. შესაბამისად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს, ხელისუფლებისთვის ძალზე საინტერესო გახდა სპორტთან დაკავშირებული საქმიანობები, რომლის შესახებაც უფრო ზუსტი და დეტალური სურათის შექმნაა საჭირო ეკონომიკაში სპორტთან დაკავშირებული საქმიანობების მნიშვნელობისა და ეკონომიკაში მისი წვლილის უფრო სრულყოფილად შესაფასებლად. აღნიშნული კი სპორტთან დაკავშირებული საქმიანობების სატელიტური ანგარიშების, ეგრეთწოდებული სპორტის სატელიტური ანგარიშების (SSA) სისტემის შექმნას მოითხოვს. ეს არის რესურსებისა და გამოყენების ცხრილების მსგავსი სტრუქტურის მქონე ანგარიში, რომელშიც მხოლოდ სპორტთან დაკავშირებული საქონელი და მომსახურებაა და აღნიშნულ ორივე ნაწილში, სპორტთან დაკავშირებულ საქმიანობათა შესაბამისი წილები აისახება. შესაბამისად, საქსტატმა მიიღო საქართველოს მთავრობის დავალება, რომელიც მომავალში საქსტატში SSA-ის წარმოებისთვის არსებული სიტუაციისა და მისი მომზადებისა და წარმოებისთვის საჭირო პირობების შეფასებას გულისხმობს.

ხელისუფლებასა და საქსტატს შორის განხორციელებული კომუნიკაციის შემდეგ, საქსტატმა მიმართა საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტს, რომელიც საქსტატში მიმდინარეობს და მას სხვა სტატისტიკური სფეროებისა და პროდუქტების, მათ შორის ეროვნული ანგარიშების შეფასებაში, განვითარებაში და განხორციელებაში ეხმარება. პროექტის ჯგუფი მოხარულია, რომ მიეცა შესაძლებლობა, დაეხმაროს საქსტატს საკმაოდ დიდი პროფილის მქონე და ძალზე საინტერესო სფეროში, როგორიცაა სპორტი. SSA არის სფერო, რომელიც მხოლოდ მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაშია შესწავლილი და განვითარებული, რის გამოც შეზღუდულია აღნიშნულ სფეროში ხელმისაწვდომი ექსპერტების რაოდენობაც. თუმცა, პროექტის ჯგუფმა მოახერხა დაკავშირებოდა ორ პოლონელ და ორ ჰოლანდიელ ექსპერტს, რომლებმაც თანხმობა გამოთქვეს აღნიშნული მიმართულებით მხარდაჭერის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

2021 წლის მაისში მომზადდა ტექნიკური დავალება (ToR), იხ. დანართი 1, რომლის ამოცანაც საქსტატში არსებული სიტუაციის შეფასებას, საქსტატში SSA-ების განვითარებისა და წარმოებისთვის საჭირო სამუშაოს მოცულობის განსაზღვრას და ტექნიკური დავალების მომზადებას გულისხმობდა საქსტატში SSA-ების ფაქტობრივად შემუშავებისა და განხორციელების ხელშეწყობისთვის დაგეგმილი ექსპერტთა მისიებისთვის.

ტექნიკური დავალების მიზნების შესასრულებლად დაიგეგმა ორი შეხვედრა პოლონელ ექსპერტებთან და ერთი შეხვედრა - ჰოლანდიელ ექსპერტებთან. წინამდებარე ანგარიშში აღწერილია აღნიშნული სამი შეხვედრის ფარგლებში ინფორმაციის გაზიარებისა და განხილვების, ასევე შეხვედრებამდე, შეხვედრების შემდეგ და შეხვედრებს შორის პერიოდებში განხორციელებული აქტიური კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცნობის შედეგები. ანგარიში მოამზადა მუდმივმა უცხოელმა მრჩეველმა და შეთანხმებულია 4 ექსპერტთან.

2. დასკვნები და შეფასებები

როგორც აღინიშნა, SSA არის რესურსებისა და გამოყენების ცხრილების მსგავსი სტრუქტურის მქონე ანგარიში, რომელშიც მხოლოდ სპორტთან დაკავშირებული საქონელი და მომსახურება და აღნიშნულ ორივე ნაწილში, სპორტთან დაკავშირებულ საქმიანობათა შესაბამისი წილები აისახება. SSA-ების განვითარება არა ერთი პირობის შეფასებასა და განხილვას მოითხოვს. ამასთან,

SSA-ების სისტემაზე მუშაობისას თავს იჩენს ხოლმე სირთულეები, ჩნდება ახალი და უკვე განხილული მოთხოვნები და ვლინდება გაუთვალისწინებელი დაბრკოლებები, რაც ნიშნავს, რომ ზოგადი ინფორმაციის და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის დონე გარკვეულწილად შეზღუდულია და მხოლოდ სისტემის განვითარებაზე მუშაობისას ვლინდება ხოლმე. აქედან გამომდინარე, წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილი რჩევები, რეკომენდაციები და შეფასებები მოცემულ ვითარებასა და საქსტატში არსებული სიტუაციის არასრულ შესწავლას ეყრდნობა და, შესაბამისად, გარკვეულ განუსაზღვრელობას შეიცავს.

ჩარჩო და შინაარსი

SSA-ების მომზადება რესურსებისა და გამოყენების არსებული ცხრილების (SUT) საფუძველზე იწყება, რომლისთვისაც ახალი ჩარჩო მუშავდება საქსტატში. SSA-ების მომზადებისას, პირველ რიგში, უნდა გადაწყდეს SSA-ის საქონლისა და მომსახურებისა და დარგების რა ნაწილი მოითხოვს საქმიანობებად დაყოფას იმის მიხედვით, უკავშირდება თუ არა სპორტს. აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა ეყრდნობოდეს სპორტის ეგრეთწოდებულ ვილნიუსის განსაზღვრებას, რომელიც, ევროკავშირში გამოყენებული ოფიციალური NACE და CPA კლასიფიკაციების მიხედვით, სპორტის სექტორთან დაკავშირებული პროდუქტებისა და ეკონომიკური საქმიანობების კატეგორიების განსაზღვრის სტანდარტს წარმოადგენს.

რაც უფრო მეტად არის არსებული SUT ჩაშლილი, მით უფრო მარტივდება SSA-ის მომზადების პირველი სამუშაოები. ნიდერლანდებში SUT 600 საქონელსა და მომსახურებას და მრეწველობის 140 ჯგუფს მოიცავს, ხოლო პოლონეთში - 543 საქონელსა და მომსახურებას და მრეწველობის 84 ჯგუფს. საქსტატში ამჟამად შემუშავების ეტაპზე არსებული რესურსებისა და გამოყენების ახალი სისტემა 330 საქონელსა და მომსახურებას და მრეწველობის 64 ჯგუფს მოიცავს, შესაბამისად, ჰოლანდიურ და პოლონურ სისტემასთან შედარებით ნაკლებად ვრცელი და დეტალურია საქონლისა და მომსახურების რაოდენობის თვალსაზრისით.

სპორტის წილის შეფასება

SUT-ის პარალელურად უნდა მომზადდეს SUT-ის ჩარჩოს სტრუქტურის მქონე SSA-ის ჩარჩო, რომელშიც მხოლოდ სპორტთან დაკავშირებული საქონელი და მომსახურება იქნება გაერთიანებული. ვილნიუსის განსაზღვრების მიხედვით უნდა დადგინდეს, თუ რა დონეზე უნდა მოხდეს სპორტული და არასპორტული საქმიანობების გამიჯვნა. ამასთან, მთავარ კითხვად რჩება, რა დონეზეა შესაძლებელი სპორტთან დაკავშირებულ აღნიშნულ საქონელსა და მომსახურებაში სპორტის წილის შეფასება SUT-ის განსაზღვრების საფუძველზე. პრინციპში, SUT-ში ძალიან ცოტა საქონელი და მომსახურებაა, რომელიც სპორტს 100%-ით უკავშირდება. საქონლისა და მომსახურების მეტი წილი მხოლოდ ნაწილობრივ იქნება სპორტთან დაკავშირებული. სწორედ ეს ნაწილი უნდა შეფასდეს[1]. ზოგადად, რაც უფრო დეტალურია თავდაპირველი SUT, მით 'უფრო მარტივია' სპორტის წილის შეფასება აღნიშნული საქონლისა და მომსახურების ნაწილში. სხვადასხვა საქონლისა და მომსახურების შემთხვევაში სპორტის წილის განსაზღვრის

[1] ფაქტიურად, შეფასება ეროვნული ანგარიშების ყველა ცალკეული ტრანზაქციისთვის (გამოშვების, მოხმარების, იმპორტის, ექსპორტის, მთლიანი კაპიტალის ფორმირების, ა.შ. მაჩვენებლები) უნდა განხორციელდეს.

შესაძლებლობების შეფასებამ აჩვენა, თუ რამდენად რთულია წინასწარი გათვლების გაკეთება, რამდენად დეტალურად მოხდება SSA-ის შედგენა ან დააკმაყოფილებს თუ არა იგი საქსტატის ხარისხის სტანდარტებს.

მაგალითად, ნიდერლანდებში, სპორტული გადაცემებისა და მედიის „წარმოების“ მაჩვენებელი შედარებით მაღალია, რაც განაპირობებს იმ ფაქტს, რომ მაღალია მომხმარებელთა მოთხოვნა მაუწყებლობასა და მედიაში სპორტის წილის შეფასებაზე. აღნიშნული შეფასების განხორციელებისთვის ნიდერლანდების სტატისტიკაში სათანადო წყარო არ არსებობს, თუმცა ქვეყანაში არის გამოკვლევა, რომელიც მის ფარგლებს გარეთ ხორციელდება და რომელიც მაუწყებლობასა და მედიაში სპორტის წილის საკმაოდ კარგი შეფასებების მიღებას უზრუნველყოფს. ამგვარი გამოკვლევები მხოლოდ ზოგიერთ ქვეყნებშია დანერგილი და ყველა ქვეყანაში არა არის ხელმისაწვდომი, რაც მაუწყებლობასა და მედიაში სპორტის წილის გონივრული შეფასებების გაკეთების შესაძლებლობებს ზღუდავს. თუ სპორტის წილი, მაგალითისთვის, მაუწყებლობასა და მედიაში საქართველოს სპორტის ანგარიშების მომხმარებლებისთვისაც მნიშვნელოვანი აღმოჩნდება, საქსტატმა აღნიშნული მიზნებისთვის სათანადო წყარო უნდა მოიძიოს, რომელიც შემდგომ მაუწყებლობასა და მედიაში სპორტის წილის სათანადოდ შეფასებისთვის იქნება გამოყენებული. თუმცა შესაძლებელია ასევე შეფასების გაანგარიშებაც, რომლის განუსაზღვრელობაც, მოძიებული წყაროს დაბალი ხარისხისა და სარგებლიანობის გამო, საკმაოდ მაღალი იქნება. რამდენადაც ჯერ კიდევ დაუდგენელია მომხმარებელთა საჭიროებები და მოძიებული არ არის SSA-ების მომზადებისთვის საჭირო ხელმისაწვდომი წყაროები, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ საწყის ეტაპზე ვიმყოფებით, სადაც ჯერჯერობით რთულია ზუსტად ვუპასუხოთ ყველა გამოწვევას.

სხვადასხვა საქონელსა და მომსახურებაში სპორტის წილის შეფასება SSA-ზე მუშაობის ყველაზე შრომატევად და რთულ ნაწილს წარმოადგენს და საქსტატში და მის ფარგლებს გარეთ ხელმისაწვდომი და სასარგებლო წყაროების ყურადღებით და დეტალურ მოძიებას, და აღნიშნული წყაროების საიმედოობის შესწავლას მოითხოვს.

საიმედო წყაროებია საჭირო სპორტთან დაკავშირებული და არდაკავშირებული საქონლისა და მომსახურების წილების შესაფასებლად ისეთი განსხვავებული საქონლისა და მომსახურებისთვის, როგორიცაა სასტუმროები, ტრანსპორტირება, ტანსაცმელი და ა.შ., იმისთვის რომ სწორად შეფასდეს სპორტის და სხვა დანარჩენი სფეროების წვლილი ეკონომიკაში.

ნიდერლანდებში SSA-ის შედგენისთვის სტატისტიკის სამსახურის გარეთ წარმოებული 80 წყარო გამოიყენება, გარდა იმ სტატისტიკური ინფორმაციისა, რომელიც სტატისტიკის სამსახურშია ხელმისაწვდომი. აღნიშნული იმაზეც მიუთითებს, რომ აღნიშნული წყაროების, მაგალითად, სხვადასხვა ინტერეს ჯგუფის ანგარიშების, ვალიდურობის შეფასება საკმაოდ დიდ რესურსს მოითხოვს. ნიდერლანდებში გამოყენებული წყაროები იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რომ შემუშავდა მონაცემთა წყაროების საიმედოობის (გამჭვირვალობის, ხელმისაწვდომობის პერიოდულობის, ა.შ.) შეფასების სისტემა, რაც იმას ნიშნავს, რომ მომხმარებლებს შეუძლიათ

განსაზღვრონ, რამდენად ეყრდნობა SSA-ის შეფასება საიმედო გამოკვლევას და, მაგალითად, ექსპერტთა დაშვებებს.

წყაროების იდენტიფიცირების შემდეგ იწყება ფაქტობრივი ინფორმაციის კონკრეტული საქონლისა და მომსახურების წილებში გადაყვანა და SSA-ში გაანგარიშება. ზოგჯერ ფასდება აბსოლუტური მაჩვენებლები და შემდეგ ხდება მათი წილებში გადაანგარიშება.

თუ გარკვეული საქონლისა და მომსახურების შემთხვევაში კონკრეტული მონაცემების მოძიება შეუძლებელია, ნებისმიერი ხელმისაწვდომი წყაროდან მიღებულ სხვა ინფორმაციაზე დაყრდნობით კეთდება საუკეთესო პროფესიული დაშვება, რაც ნიშნავს, რომ SSA-ზე მუშაობა მნიშვნელოვანწილად კრეატიულობასაც მოითხოვს, როდესაც სათანადო მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის ხოლმე.

თუ კონკრეტული დარგის გარკვეული საქონლისა და მომსახურების შეფასებისთვის არანაირი წყარო არ მოიძებნება, ან ძალზე შეზღუდულია წყაროს სანდოობა, უნდა შეფასდეს სპეციალური გამოკვლევის დანერგვის მიზანშეწონილობა საჭირო ინფორმაციის მისაღებად. პოლონეთისა და ნიდერლანდების შემთხვევაში კონკრეტული გამოკვლევა არ ტარდება სპეციალურად SSA-ისთვის, რამდენადაც SSA არ ითვლება იმდენად „მნიშვნელოვნად“, რომ მისთვის სპეციალური გამოკვლევები ჩატარდეს.

მონაცემებისა და მეტამონაცემების გამოქვეყნება

SSA-ზე მუშაობის ბოლო ნაწილია გამოქვეყნება. სტატისტიკური პროდუქტების უმრავლესობა კვარტალურად ან წლიურად ქვეყნდება. ნიდერლანდებში SSA-ის გამოქვეყნება 3-4 წელიწადში ერთხელ ხორციელდება და ძირითად ეკონომიკაში, დასაქმებაში და კონკრეტულ საქონელსა და მომსახურებაში სპორტის წილის ასახვას ემსახურება. SSA-ის მაჩვენებლების უფრო მეტი სიხშირით გამოქვეყნება ჯერჯერობით პრიორიტეტს არ წარმოადგენს, რამდენადაც SSA-ის შეფასებისთვის გამოყენებული წყაროების სათანადოობა არასაკმარისად არის მიჩნეული იმისათვის, რომ საიმედო მაჩვენებლის მიღება უზრუნველყოს კვარტალურად ან წლიურად. ამასთან, წლიდან წლამდე ეკონომიკაში სპორტის წილის ზრდის ტემპი არც ისე სწრაფად იცვლება.

ყველა სხვა სტატისტიკური პროდუქტის მსგავსად, მონაცემების გამოქვეყნებას მეტამონაცემების გამოქვეყნება უნდა მოსდევდეს.

საჭირო წყაროები

ნიდერლანდების სტატისტიკის სამსახურში SSA-ების წარმოება და გამოქვეყნება 3-4 წელიწადში ერთხელ ხორციელდება. აღნიშნული გადაწყვეტილება მონაცემთა საიმედოობისა და მომხმარებელთა საჭიროებების შეფასებას ეყრდნობა. წარმოების ყველა პროცესი დასაწყისიდან მონაცემებისა და მეტამონაცემების გამოქვეყნებამდე 800-1000 სამუშაო საათს მოითხოვს, საიდანაც დროის უმეტესობა თითოეული საქონლისა და მომსახურების სპორტის წილის შეფასებას ეთმობა.

800-1000 სამუშაო საათი გაცილებით ნაკლებია იმ დროსთან შედარებით, რაც სისტემის შემუშავებას დასჭირდა. ძალიან რთულია განსაზღვრო, რა დრო დასჭირდება სისტემის

განვითარებას, რადგან, როგორც უკვე აღინიშნა, აღნიშნული სათანადო დეტალური წყაროების ხელმისაწვდომობასა და წყაროების სარგებლიანობაზეა დამოკიდებული. აღნიშნული პროცესი მნიშვნელოვან კვლევას მოითხოვს, რასაც ხშირად ჩიხში შევყავართ ხოლმე და ახალი კვლევების ჩატარების საჭიროებამდე მივყავართ ხოლმე. არცთუ ისე იშვიათად, წარმოების „სათანადო“ სისტემის პირობებში, სისტემის განვითარება 2-3-ჯერ მეტ სამუშაო საათს მოითხოვს, რაც ჰოლანდიის შემთხვევაში, როგორც აღინიშნა, 800-1000 სამუშაო საათს შეადგენს.

მიუხედავად იმისა, თუ რა დრო დასჭირდება საქსტატს, ეს სფერო სრულიად ახალი და გამოსაკვლევია და წარმოების ახალი სისტემის მიმართულებით მუშაობისას მხარდაჭერა და რეკომენდაციები ძალზე საჭირო და ფასეულია. ისეთი სისტემის შემუშავების მიზნით, რომელიც მთლიან შიდა პროდუქტში სპორტთან დაკავშირებული წილების გაანგარიშებას უზრუნველყოფს, წინამდებარე დოკუმენტს, მომავალში ექსპერტების მონაწილეობით განსახორციელებელი აქტივობებისთვის, მე-2 დანართის სახით თან ახლავს ზოგადი სამუშაო გეგმის/ტექნიკური დავალების სამუშაო ვერსია. დანართში დეტალურად არ არის განსაზღვრული ექსპერტთა ამგვარი მისიების მიზანი, რადგან ესეც იმ ხელმისაწვდომ წყაროებზეა დამოკიდებული, რომელთა საფუძველზეც SSA-ის შეფასება და გამოქვეყნება მოხდება.

სამუშაო გეგმის/ტექნიკური დავალების სამუშაო ვერსიაში შეძლებისდაგვარად არის შეფასებული, თუ რა არის საჭირო საქსტატში ექსპერტთა მხარდაჭერის განსახორციელებლად, მათ შორის მისიებს შორის პერიოდები, რომლის დროსაც საქსტატმა სამუშაოები და კვლევები უნდა ჩაატაროს. მუშაობის პროცესში მიღებული დამატებითი ინფორმაციის საფუძველზე და გამოვლენილი ახალი პრობლემებისა და დაბრკოლებების გათვალისწინებით შესაბამისი ცვლილებები შევა გეგმაში.

დანართი 1. ტექნიკური დავალება

ტექნიკური დავალება

ევროკავშირის საჯარო სამსახურების დაძმობილების პროექტი GE 16 ENI ST 06 18

კომპონენტი 2: ეროვნულ ანგარიშებში მეთოდოლოგიური საფუძვლების გაძლიერება ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად

ქვეკომპონენტი 2.1: ეროვნული ანგარიშებისა და ახალი პროდუქტების შედგენის მეთოდები

2.1 ქვეკომპონენტის 2.1.I (RS) აქტივობის სავალდებულო შედეგები:

- მომავალში საქსტატის მხარდასაჭერად ექსპერტთა მისიის განხორციელების ტექნიკური დავალების მომზადება

აქტივობა 2.1.I (RS) "სპორტის სატელიტური ანგარიშების შედგენის მიმართულებით საქსტატის შესაძლებლობებისა და არსებული სირთულეების შეფასება"

1. აქტივობის მიზანი

- სპორტის სატელიტური ანგარიშების მიმოხილვა ევროკავშირის კონტექსტში
- კლასიფიკატორები, პროდუქტები და მონაცემთა წყაროები
- წარმოების პროცესი
- პროდუქტები
- საქსტატის შესაძლებლობები და გამოწვევები
- საქსტატში სრული SSA ანგარიშის წარმოების მიმართულებით განსახორციელებელი სამომავლო სამუშაო გეგმის განხილვა
- მომავალში საქსტატის მხარდასაჭერად ექსპერტთა დახმარების ტექნიკური დავალების განხილვა

2. აქტივობის მოსალოდნელი შედეგები

- სპორტის სატელიტური ანგარიშების მიმოხილვა ევროკავშირის კონტექსტში
- კლასიფიკატორების, პროდუქტებისა და მონაცემთა წყაროების განხილვა
- სპორტის სატელიტური ანგარიშების წარმოების პროცესის დანერგვა
- SSA-ის პროდუქტების მიმოხილვა და განხილვა
- საქსტატის შესაძლებლობებისა და გამოწვევების განხილვა
- მომავალში საქსტატის მხარდასაჭერად ექსპერტთა დახმარების ტექნიკური დავალების განსაზღვრა
- მისიის ანგარიშის მომზადება

3. მონაწილეები

საქსტატი

ბ-ნი ლევან ქარსაულიძე, ეროვნული ანგარიშების დეპარტამენტის უფროსი
ქ-ნი ნათია მერებაშვილი, წლიური ანგარიშების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი
ქ-ნი ნინო შუკაკიძე, წლიური ანგარიშების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი
1-ნი ხათუნა ჯიბლაძე, წლიურ ანგარიშების სამმართველოს სპეციალისტი
ქ-ნი თინათინ პაპიაშვილი, კვარტალური ანგარიშების სამმართველოს უფროსი

საქართველოს პარლამენტი

ბ-ნი დავით ობოლაძე, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომიტეტის მთავარი სპეციალისტი

წევრი ქვეყნების ექსპერტები

ბ-ნი ანდრიეს კუპერსი ქაიფერსი, უფროსი სტატისტიკური მკვლევარი/SSA პროექტის ხელმძღვანელი

ბ-ნი ლუუკ შხრეივენი, უფროსი სტატისტიკური მკვლევარი

ბ-ნი ლუკაშ ზადოროჟნი, სპორტისა და ტურიზმის სტატისტიკის ცენტრის უფროსი

ქ-ნი ევა მალინოვსკა, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მეთოდოლოგიისა და გამოკვლევების სამმართველოს უფროსი

პროექტის მუდმივი უცხოელი მრჩეველის ჯგუფი

ბ-ნი სთინ ბელეფელდ პიდერსენი, პროექტის მუდმივი უცხოელი მრჩეველი
ქ-ნი ნინო გრძელიშვილი, მუდმივი უცხოელი მრჩეველის თანაშემწე, თარჯიმანი

დანართი 2. ტექნიკური დავალება/სამუშაო გეგმა

სპორტის სატელიტური ანგარიშები (SSA)

თანდათან იზრდება სპორტთან დაკავშირებულ საქმიანობათა გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე. შესაბამისად, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის, საქართველოს ხელისუფლებისთვის, უაღრესად საინტერესო გახდა სპორტთან დაკავშირებული საქმიანობები, რომლის შესახებაც უფრო ზუსტი და დეტალური სურათის შექმნაა საჭირო ეკონომიკაში სპორტთან დაკავშირებული საქმიანობების მნიშვნელობისა და მისი წვლილის უფრო სრულყოფილი შეფასებისთვის. აღნიშნული კი სპორტთან დაკავშირებული საქმიანობების სატელიტური ანგარიშების, ეგრეთწოდებული სპორტის სატელიტური ანგარიშების (SSA) სისტემის შექმნას მოითხოვს.

ქვემოთ წარმოდგენილია ტექნიკური დავალებისა და სამუშაო გეგმის პროექტი, რომლის საფუძველზეც მომავალში საქართველოში ექსპერტთა მისიების განხორციელება დაიგეგმა, სპორტის სატელიტური ანგარიშების სისტემის შემუშავებაში საქსტატის მხარდასაჭერად. შეფასების თანახმად, ქვემოთ აღწერილი ექსპერტთა 4 მისიის და მისიებს შორის განხორციელებული სამუშაოების შედეგად საქსტატი შეძლებს SSA-ის სისტემის შემუშავებას და SSA-ში მიღებული მონაცემების გამოქვეყნებას.

სპორტის სატელიტური ანგარიშების (SSA) შემუშავება	
საბაზისო მონაცემები და სამიზნე მაჩვენებელი:	**საკვანძო ეტაპები**
• სატელიტური ანგარიშების ცხრილების ხელმისაწვდომობა ○ **საბაზისო მონაცემები:** 2021 – არ არსებობს სპორტის სატელიტური ანგარიშების (SSA) შედგენის სისტემა ○ **სამიზნე მაჩვენებელი:** 2023 წლის დასასრული – SSA სისტემის შექმნა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება მთლიან შიდა პროდუქტში სპორტის წილის გაანგარიშება და გამოქვეყნება	➢ დეტალიზაციის საჭირო დონის განსაზღვრა (2022 წლის თებერვალი) ➢ ხელმისაწვდომი წყაროების იდენტიფიცირება (2022 წლის იანვარი) ➢ SSA-ის დეტალიზაციის საჭირო დონის განსაზღვრა (2022 წლის თებერვალი) ➢ საჭირო წყაროების იდენტიფიცირება (2023 წლის თებერვალი) ➢ შეფასებების განხორციელება (2023 წლის ივნისი) ➢ მეტამონაცემების შექმნა (2023 წლის ოქტომბერი) ➢ ცხრილების მომზადება გამოქვეყნებისთვის (2023 წლის დეკემბერი)

პირველი აქტივობა	სპორტის სატელიტური ანგარიშების მიმოხილვა და არსებული სიტუაციის გაცნობა
თემა	• სპორტის სატელიტური ანგარიშების მიმოხილვა ევროკავშირის კონტექსტში • საქსტატში არსებული სიტუაციის გაცნობა • საქსტატის რესურსებისა და გამოყენების ცხრილების შეფასება • მომხმარებელთა საჭიროებებისა და მოთხოვნების განხილვა

	• SSA-ის დეტალიზაციის საჭირო დონის განხილვა • შემდგომი ნაბიჯების განხილვა • მომდევნო მისიამდე შესასრულებელი სამუშაოების განსაზღვრა
მეთოდები	ძირითადად, ბრიფინგები და პრეზენტაციები არსებული სიტუაციის შესახებ, და მიმღებ ქვეყანაში კითხვარის მომზადების გამოცდილების შესახებ. ამასთან, წევრი ქვეყნებისა და მიმღები ქვეყნის კოლეგები ერთობლივად იმუშავებენ გაუმჯობესების შესაძლებლობების ანალიზის მომზადებაზეც.
რესურსები	მიმღები ქვეყანა: ბიზნეს სტატისტიკის, მეთოდოლოგიის, ეროვნული ანგარიშებისა და IT დეპარტამენტების შესაბამისი თანამშრომლები სამინისტროები: სპორტისა და ახალგაზრტულ საქმეთა სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლები წევრი ქვეყნები: შესაბამისი ექსპერტები
ხანგრძლივობა	8 სამუშაო დღე - 2 მოკლევადიანი ექსპერტი x 4 სამუშაო დღე
შედეგები	• სპორტის სატელიტური ანგარიშების მიმოხილვა ევროკავშირის კონტექტსში • საქსტატში არსებული სიტუაციის გაცნობა • საქსტატის რესურსებისა და გამოყენების ცხრილების შეფასება • მომხმარებელთა საჭიროებებისა და მოთხოვნების განხილვა და დამუშავება • SSA-ის დეტალიზაციის საჭირო დონის განსაზღვრა • მომდევნო მისიამდე განსახორციელებელი შემდგომი ნაბიჯებისა და სამუშაოების შეთანხმება • მისიის ანგარიშის მომზადება • მომდევნო მისიის ტექნიკური დავალებისა და სამუშაო გეგმის გადახედვა
ვადა	2022 წლის იანვარი/თებერვალი

მე-2 აქტივობა	**მონაცემთა წყაროები და შეფასება**
თემა	• საჭირო წყაროების განხილვა • საქსტატში არსებული და საქსტატის გარეთ ხელმისაწვდომი წყაროების განხილვა და ნაწილობრივი იდენტიფიცირება • SSA-ის გაანგარიშებების მიმოხილვა • მომდევნო ნაბიჯების განხილვა • მომდევნო მისიამდე შესასრულებელი სამუშაოების განსაზღვრა
მეთოდები	ძირითადად, ბრიფინგები და პრეზენტაციები არსებული სიტუაციის შესახებ, და მიმღებ ქვეყანაში კითხვარის მომზადების გამოცდილების შესახებ. ამასთან, წევრი ქვეყნებისა და მიმღები ქვეყნის კოლეგები ერთობლივად იმუშავებენ გაუმჯობესების შესაძლებლობების ანალიზის მომზადებაზეც.
რესურსები	მიმღები ქვეყანა: ბიზნეს სტატისტიკის, მეთოდოლოგიის, ეროვნული

	ანგარიშებისა და IT დეპარტამენტების შესაბამისი თანამშრომლები სამინისტროები: სპორტისა და ახალგაზრტულ საქმეთა სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლები წევრი ქვეყნები: შესაბამისი ექსპერტები
ხანგრძლივობა	8 სამუშაო დღე - 2 მოკლევადიანი ექსპერტი x 4 სამუშაო დღე
შედეგები	• წყაროების განხილვა • ხელმისაწვდომი წყაროების ნაწილობრივი იდენტიფიცირება • ფაქტობრივი გაანგარიშებების გაცნობა • მომდევნო მისიამდე განსახორციელებელი შემდგომი ნაბიჯებისა და სამუშაოების შეთანხმება • მისიის ანგარიშის მომზადება • მომდევნო მისიის ტექნიკური დავალებისა და სამუშაო გეგმის გადახედვა
ვადა	2022 წლის მაისი/ივნისი

მე-3 აქტივობა	**მონაცემთა წყაროები და შეფასების გაგრძელება**
თემა	• დამატებითი განხილვები ხელმისაწვდომი წყაროების შესახებ • საქსტატში არსებული და საქსტატის გარეთ ხელმისაწვდომი წყაროების დამატებითი განხილვები და იდენტიფიცირება • წყაროების ხელმისაწვდომობისა და საიმედოობის ნაწილობრივ იდენტიფიცირება: რამდენად საჭიროა SSA-ის დეტალიზაციის დონის გადახედვა? • SSA-ის დამატებითი გაანგარიშებები • მომდევნო ნაბიჯების განხილვა • მომდევნო მისიამდე შესასრულებელი სამუშაოების განსაზღვრა
მეთოდები	ძირითადად, ბრიფინგები და პრეზენტაციები არსებული სიტუაციის შესახებ, და მიმღებ ქვეყანაში კითხვარის მომზადების გამოცდილების შესახებ. ამასთან, წევრი ქვეყნებისა და მიმღები ქვეყნის კოლეგები ერთობლივად იმუშავებენ გაუმჯობესების შესაძლებლობების ანალიზის მომზადებაზეც.
რესურსები	მიმღები ქვეყანა: ბიზნეს სტატისტიკის, მეთოდოლოგიის, ეროვნული ანგარიშებისა და IT დეპარტამენტების შესაბამისი თანამშრომლები სამინისტროები: სპორტისა და ახალგაზრტულ საქმეთა სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლები წევრი ქვეყნები: შესაბამისი ექსპერტები
ხანგრძლივობა	8 სამუშაო დღე - 2 მოკლევადიანი ექსპერტი x 4 სამუშაო დღე
შედეგები	• განხილვები წყაროების შესახებ • ხელმისაწვდომი წყაროების იდენტიფიცირება • SSA-ის დეტალიზაციის დონის კიდევ ერთხელ განხილვა და შესაძლო

	გადასინჯვა • მომდევნო მისიამდე განსახორციელებელი შემდგომი ნაბიჯებისა და სამუშაოების შეთანხმება • მისიის ანგარიშის მომზადება • მომდევნო მისიის ტექნიკური დავალებისა და სამუშაო გეგმის გადახედვა
ვადა	2023 წლის იანვარი/თებერვალი

მე-4 აქტივობა	**საბოლოო შეფასებები და გამოქვეყნება**
თემა	• წყაროებთან და შეფასებასთან დაკავშირებით დარჩენილი საკითხების განხილვა • გამოქვეყნების დონის განხილვა • გამოქვეყნების სიხშირის განხილვა • მეტამონაცემების მიმოხილვა და განხილვა
მეთოდები	ძირითადად, ბრიფინგები და პრეზენტაციები არსებული სიტუაციის შესახებ, და მიმღებ ქვეყანაში კითხვარის მომზადების გამოცდილების შესახებ. ამასთან, წევრი ქვეყნებისა და მიმღები ქვეყნის კოლეგები ერთობლივად იმუშავებენ გაუმჯობესების შესაძლებლობების ანალიზის მომზადებაზეც.
რესურსები	მიმღები ქვეყანა: ბიზნეს სტატისტიკის, მეთოდოლოგიის, ეროვნული ანგარიშებისა და IT დეპარტამენტების შესაბამისი თანამშრომლები სამინისტროები: სპორტისა და ახალგაზრტულ საქმეთა სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლები წევრი ქვეყნები: შესაბამისი ექსპერტები
ხანგრძლივობა	8 სამუშაო დღე - 2 მოკლევადიანი ექსპერტი x 4 სამუშაო დღე
შედეგები	• წყაროებთან და შეფასებასთან დაკავშირებით დარჩენილი საკითხების გადაჭრა • გადაწყვეტილებების მიღება გამოქვეყნების დონის და სიხშირის შესახებ • მეტამონაცემების სამუშაო ვერსიის მონახაზის მომზადება • დარჩენილი საკითხების საბოლოო განხილვა და სამუშაო გეგმის მონახაზის მომზადება • მისიის ანგარიშის მომზადება
ვადა	2023 წლის ივნისი/ივლისი